საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/31

ქ.თბილისი

„15" ივნისი 2017 წ.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 23 მაისის N6/22 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე–5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 23 მაისის N6/22 ბრძანებაში დაემატოს შემდეგი რედაქციის 1^1 პუნქტი:
„1^1. მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სატენდერო კომისიის თავმჯდომარეს კომისიიდან გასაგზავნ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ კორესპონდენციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება";

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის უფროსს (ი.ხარებავა) კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური